

გაცნობებთ, რომ ჩემს (ფ/პ ნათია კუპრაძე პ/ნ 26001031510) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკატასტრო კოდია 27.13.48.354, მინდა გავაშენო მოცვის პლანტაცია 5 000 მ² -ზე. ბალის წყალმომარაგების მიზნით დაგეგმილია მდინარე შუთიდან წყლის აღება, რომელიც ბალამდე მოყვანის მიზნით ითვალისწინებს მცირე ზომის სარწყავი სისტემის მოწყობას.

ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1,3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სარწყავი სისტემის უზრუნველყოფის მიზნით დანართის სახით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენ გადაწყვეტილებას.


დანართი- სკრინინგის ანგარიში.

პატივისცემით

ფ/პ ნათია კუპრაძე (პ/ნ 26001031510).

16.10.2019წ

ნ. კუპრაძე



ფ/პ ნათია კუპრაძე

ლანჩხუთის რაიონის სოფელ გულიანისში მოცვის პლანტაციისთვის

სარწყავი სისტემის მოწყობა.

სკრინინგის განაცხადი

ქ. ლანჩხუთი. 2019 წელი.

1. შესავალი

ფ/პ ნათია კუპრაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკატასტრო კოდია 27.13.48.354 უნდა გაშენდეს მოცვის პლანტაცია 5 000მ²-ზე. ამ პლანტაციისთვის სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით ნათია კუპრაძე გეგმავს მდინარე შუთიდან წყლის აღებას.

ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1,3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზს-ს საჭიროების შესახებ საქართველოს კანონის სარწყავი სისტემის უზრუნველყოფის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განცხადი. ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში # 1.

ცხრილი # 1.

საქმიანობის განმახორციელებელი	ფ/პ ნათია კუპრაძე
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი. დიდმის მასივი. მე-3 კვარტალი. მე-5 კორპუსი. ბინა # 83.
საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი	პ/ნ 26001031510
საქმიანობის სახე	სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მოყვანა
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ლანჩხუთი რაიონი სოფ. გულიანი

2. სარწყავი სისტემის ადგილმდებარეობა და ტექნოლოგიური პროცესი

5 000 მ² მოცვის პლანტაცია უნდა გაშენდეს ფ/პ ნათია კუპრაძის კუთვნილ 11284 მ² მიწის ნაკვეთზე, რომლის საკატასტრო კოდია: 27.13.48.354.

წერტილი საიდანაც ხდება წყლის აღება ფ/პ ნათია კუპრაძის კუთვნილი მიწის ფართობიდან დაშორებულია 5 (ხუთი) მეტრით. მდინარიდან სარეზერვო ავზს წყალი მიეწოდება 2 სმ შიდა დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილით.

მდ. შუთიდან წყლის ამოღების GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	742608.07	4656591.83

ფ/პ ნათია კუპრაძეს ფართობში უდგას 3მ³ ტევადობის რეზერუარი, საიდანაც მორწყვა იწარმოებს წვეთოვანი სისტემით. მოცვის პლანტაციას მორწყვა ესაჭიროება გაზაფხულის, ზაფხულის და ადრეული შემოდგომის პერიოდში. წვიმიან დღეებში პლანტაცია არ მოირწყვება. სარწყავად წლის განმავლობაში სავარაუდოთ გამოყენებული იქნება 500 მ³ წყალი.

სარწყავი მილი არ იმარხება, ასე რომ მიწის სამუშაოები არ იგეგმება.

ტერიტორია სადაც დაგეგმილია სარწყავი სისტემის მოწყობა, მოსახლეობიდან დაშორებულია 500 მ მანძილით.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორია.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში მიწისა და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან სამუშაო პროცესში არაა გათვალისწინებული სპეცტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება საწვავით და ასევე საპოხი მასალებით.

ვიზუალური შეფასებით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებით მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

3. საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები

ფ/პ ნათია კუპრაძის მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით გამოყენებული იქნება 20 მ სიგრძის და 2 სმ შიდა დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილი. ასევე ერთი ცალი 0,55 კვტ სიმძლავრის წყლის ტუმბო.

4. საწარმოს მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში გამოყენებული რესურსები.

წყლის ტუმბო იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადსი მოიხმარს დაახლოებით 150 კვტ ელექტრო ენერგიას.

5. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

მოცვის პლანტაცია წელიწადში მოიხმარს დაახლოებით 500 მ³ წყალს. ვინაიდან წყალი გამოიყენება სარწყავად, მდინარეში წყალჩაშვებას ადგილი არ ექნება.

6. საწარმოს მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა.

სარწყავი სისტემის მოწყობის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება.

ნ. კოსტაძე